

## სამნი ცოლ-ქმარნი და მდინარე

სამნი კაცი უმეცარნი ერთის დიდის მდინარის კიდესა შეიყარნენ. სამთავ ცოლები ჰყვა თანა. მუნ წყალში ერთი მცირე ნავი ჰპოვეს, ორის მეტი კაცი ვერ დაეტიოდა. ამ მდინარესა ეს ექვსი იმიერ ასე გაიყვანე, რომ ერთმან მეორის ცოლი ვერ იხელთოს!

რა გასინჯა რუქამ, ძნელი იგავი იყო, დია დაჭმუნდა და ვერა გაიგნო რა. შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის: არა ასრეა, არა ესე უნდა იყოსო. ვერა რომელმან დაასკვნა.

რუქამ ჰვიცა: ცუდი, უგვანი მოიგონა, თვარა არა ბრძნისაგან არ გაიყვანებო.

უთხრა ჯუმბერ:

- ჰე, ნადირში კურდღელო და მფრინველში ძერაო, და კაცთა შიგან შენვე იცი, რაცა ხარ, არ გასცუდდები!

რუქამ იგივე თქვა.

ლეონ აფიცა ჯუმბერს:

- შენვე გაიყვანე ეგენი, თუცა ფიცი არ გატეხოს!

რუქამ ნება დართო. ჯუმბერ თქვა:

- სამთა მათ კაცთა სახელები ესე არს: მელას, მეტურ და მარასან. მოიღო მელას ნავი და ჩაჯდა, ჩაისვა ცოლი თვისი და გაჰხდა გაღმართ, გარდასვა ცოლი თვისი და გამოჰხდა ამიერ. ჩასხეს მათ ორთავ ცოლები და გაჰხდნენ მას ქალთან. ჩაჯდა მელას ცოლი, გამოიტანა ნავი და მოვიდა ქმართან. ჩასხდნენ მეტურ და მარასან და გაჰხდნენ თვითოს ცოლთან. ჩაჯდა მეტურ, ჩაისვა ცოლი თვისი და გამოჰხდა მელასთან. მეტურ და მელას ცოლნი იმიერ დაუტევნეს და თვით მარასანთან გაჰხდნენ. ნავში მარასანის ცოლი ჩაჯდა, გამოჰხდა და მელას ცოლი გაიყვანა. მერმე ნავი მეტურ გამოართვა, თვისი ცოლი გაიყვანა და წავიდნენ.

გაეცინა მეფესა და თქვა:

- არა ვგონებდი ამა ქალთა წყალთა გახდომასა.

მოახსენა ვაზირმან სედრაქ:

- ამით ავი კაცია ლეონ, ნუ გინებს სიცოცხლე მისი და მოკალ! შენი ძე უმეცარი გაუზრდია.

მამამან შვილი შვას ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისი: სიმდაბლით თხოვილი, წყალობით შოვილი ძე და ჩვენებით ნახული, სიბრძნით დასახული ლეონ. არცა ჯუმბერ ულეონოდ და არც ლეონ უჯუმბეროდ!